

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34 ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	0232.1.3 ფილოლოგია Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოლოგიის დოქტორი Doctor of Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში;</li> <li>➤ გამოცდა ინგლისურ ენაში - B2 დონე;</li> <li>➤ ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა (იმ კანდიდატისათვის, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე).</li> <li>➤ სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის მომზადება, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს, შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას, იდეების კრიტიკულ ანალიზს, ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას სამეცნიერო პუბლიკაციებისა და სწავლების გზით.  პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი: შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას; <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოიმუშავეს ფილოლოგიური კვლევის სრულფასოვანი პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარს;</li> <li>➤ შექმნის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შეძენილი ცოდნის კრიტიკული გადააზრებით, მულტიდისციპლინურ/ინტერდისციპლინურ კონტექსტში, პრობლემების საკუთარი გააზრებით;</li> <li>➤ ჩაერთვება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, ახალი ცოდნის გენერირების პროცესში;</li> <li>➤ შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მომზადებასა და სწავლებას, ცოდნის ტრანსფერს.</li> </ul>
სწავლის შედეგები	სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოხდება დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და მისი როგორც დარგის სპეციალისტის, კომპეტენციისა და ხარისხის ამაღლება და წარმატებით ინტეგრირება სამეცნიერო საზოგადოებაში.  დოქტორანტი შექმნის მეცნიერული ღირებულების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომს, რომლითაც სიახლეს შეიტანს ფილოლოგიის, ლიტერატურისა და ლინგვისტიკის კვლევისა და განვითარების საქმეში.

	<p>სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შესწავლით, სემინარებში, კოლოკვიუმებში, ვორკშოპებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალრეიტინგულ, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის, სხვა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების გზით.</p>
<p><b>შეფასები წესი</b></p>	<p>ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა;  B – ძალიანკარგი 81-90 ქულა;  C – კარგი 71-80 ქულა;  D- დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;  E – საკმარისი 51-60 ქულა;  FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა.</p> <p>სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება;  F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირ(ებ)ი</b></p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>პროფ. მამია ფაღავა (599380626)  პროფ. მარინე აროშიძე (577141030)  პროფ. მარინე გიორგაძე (577179799)  პროფ. რამაზ ხალვაში (593357957)</p>